ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტი

ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახური

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

(2014–2015 სასწავლო წელი)

კონფერენციის ინსტრუქცია

1. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მიზანია სტუდენტთა სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენა და განვითარება.
2. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახური.
3. კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლიათ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს.
4. კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მსურველი წარმოადგენს განაცხადს – პირად მონაცემთა ფორმასა (იხ. დანართი A) და საკონფერენციო თემას, საკონფერენციო ნაშრომისადმი წაყენებული ტექნიკური მოთხოვნების დაცვით (იხ. დანართი B).
5. საკონფერენციო თემა წარმოდგენილ უნდა იქნეს როგორც ელექტრონული (lawconference@tsu.ge), ისე ბეჭდური სახით (თსუ II კორპუსი, ოთახი N121). ხელნაწერი არ მიიღება. მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4–ის ფორმატის თაბახის 10 გვერდს.
6. კონფერენცია ჩატარდება მიმართულებების მიხედვით. ავტორებმა უნდა წარმოადგინონ 10–15 წუთიანი მოხსენებები ზეპირი გამოსვლის სახით (შესაძლებელია Power Point-ის სლაიდების გამოყენება).
7. კონფერენციაში გამარჯვებულად ჩაითვლება მიმართულებების მიხედვით შერჩეული სამი საუკეთესო ნაშრომი ავტორი (I, II და III ადგილი).
8. სამეცნიერო ნაშრომის შეფასებას ახდენს იურიდული ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით დამტკიცებული იურიდიული ფაკულტეტის პროფესორებისა და მოწვეულ ექსპერტთა კომისია.
9. სამეცნიერო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია: თემის აქტუალობის წარმოჩენა და მიღებული შედეგების დასაბუთება – 10 ქულა; თავისუფალი აზროვნება და დასკვნების გაკეთების უნარი – 10 ქულა; პრეზენტაციისა და დისკუსიის წარმოების უნარი – 10 ქულა; ნაშრომის ტექნიკური შეფასება (დაცულია თუ არა სტრუქტურის ლოგიკური ხაზი და ციტირება).
10. კონფერენციაში გამარჯვებულებს გადაეცემათ დიპლომები.

11. მონაწილეობის მსურველთა განაცხადი და საკონფერენციო თემა მიიღება თსუ იურიდიული ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურში (თსუ II კორპუსი, ოთახი N121), მიმდინარე წლის 30 მარტიდან 25 მაისის ჩათვლით.

დანართი A.

განაცხადი (სტუდენტის პირადი მონაცემების ფორმა)

სახელი, გვარი:

თემის სათაური:

მიმართულების დასახელება:

სასწავლო სემესტრი:

მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

ელ. ფოსტის მისამართი:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სამეცნიერო ხარისხი:

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში:

საკონფერენციო ნაშრომისადმი წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები

ნაშრომი უნდა იყოს მკაფიოდ სტრუქტურირებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). ტექსტი უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen (ქართ.) და Sylfaen (ლათ.). ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 12. სქოლიოების ტექსტის შრიფტის ზომა - 10.

სქოლიოები უნდა იყოს განთავსებული თითოეული გვერდის ბოლოს.

წყაროები უნდა იყოს ციტირებული შემდეგნაირად:

ა) **წიგნი**: ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, ნაშრომის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი, მითითებული გვერდი (მაგ., ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010 წელი, გვ. 15.);

ბ) **საჟურნალო სტატია**: ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, სტატიის დასახელება ***იტალიკით***, ჟურნალის დასახელება, გამოცემის ნომერი, გამოცემის წელი, მითითებული გვერდი (მაგ., ქ. პოლმანი, *ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში კვლევების ზოგიერთი პერსპექტივა*, ქართული სამართლი მიმოხილვა, I, 2001 წელი, გვ. 83.);

წიგნზე, ჟურნალსა და სტატიაზე მითითება ხდება დედნის ენაზე. უცხოენოვანი წიგნის დასახელება არ ითარგმნება ქართულ ენაზე.

გ) **საერთაშორისო სასამართლოების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება**: მიეთითება საქმის სახელი **ქართულ** და **ორიგინალურ** ენაზე ***იტალიკით***, გადაწყვეტილების მიღების თარიღი და პუნქტი. მაგ., *ბრონდა იტალიის წინააღმდეგ* (*Bronda v. Italy*), 1998 წლის 9 ივნისი, 21-ე პუნქტი.